Hyundai Connected Mobility GmbH
HYUNDAI PAY - გამოყენების პირობები
ძალაშია 2025 წლის თებერვლიდან.
შეგიძლიათ, გამოყენების პირობები სხვა ენებზე ნახოთ და შემდეგი ბმულიდან ჩამოტვირთოთ: https://www.hyundai.com/eu/hyundai-pay-terms-of-use.html

1. გამოყენების სფერო და სერვისების აღწერა

1.1. გამოყენების ამ პირობების სფერო და მონაწილე მხარეები

ეს პირობები Hyundai Pay-ს გამოყენებას არეგულირებს. Hyundai Hyundai Pay-ს მომწოდებელია Hyundai Connected Mobility GmbH, რეგისტრირებული სარეგისტრაციო ნომრით HRB 56445, Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach am Main, Germany; email: info@Hyundai-connect.eu („Hyundai“; „ჩვენ“; „ჩვენს“; „ჩვენი“).

1.2. Hyundai Pay-ს აღწერა

Hyundai Pay არის ელექტრონული საფულე, რომელიც გადახდის დროს, საჭირო ინფორმაციის შენახვის საშუალებას გაძლევთ (მაგ. თქვენი გადახდის ერთი ან რამდენიმე ბარათი, რომლითაც Hyundai-ს პროდუქტებს, ან სერვისებს შეიძენთ) გადახდის შესაბამის ინფორმაციასთან ერთად (მაგ. მისამართი).
Hyundai Pay მხოლოდ გადახდის ბარათით გადახდის შესახებ ტოკენიზებული ინფორმაციის შესანახად გამოიყენება. Hyundai Pay-ში სახსრების, გადახდის ღირებულებების, ან გადახდის ბალანსების შეტანა, ან მართვა შეუძლებელია.
გადახდის ბარათის დეტალები Hyundai Pay-ში ღია ტექსტში არ ინახება. Hyundai Pay სერვისი თქვენი გადახდის ბარათის მხოლოდ დაშიფრულ ტოკენს ინახავს.
ტოკენი თქვენს გადახდის ბარათთან არის დაკავშირებული და მისი გამოყენება მხოლოდ Hyundai-ს შეუძლია. ეს უზრუნველყოფს, რომ Hyundai-ში მონაცემთა გაჟონვის ნაკლებად სავარაუდო შემთხვევაშიც კი, Hyundai Pay-ში შენახული მონაცემებიდან, თქვენი გადახდის ბარათის დეტალების ამოღება შეუძლებელი იქნება.Hyundai Pay-ზე თქვენი გადახდის ბარათის დასამატებლად, თქვენი გადახდის ბარათის ტოკენი Visa Token ID სერვისის გამოყენებით გენერირდება.
თქვენი ბარათის მონაცემები Hyundai-ს გადახდის სისტემას დაემატება, როდესაც Bluelink-ის მაღაზიაში პირველ შესყიდვას განახორციელებთ.
ბარათის მონაცემები Hyundai-ს გადახდის სისტემაში აგრეთვე მას შემდეგ დაემატება, როცა მანქანაში გადახდის სისტემაში დარეგისტრირდებით.
ტექნიკურად, Hyundai Pay-ს მომწოდებელი და მმართველი არის Hyundai by BlueWalnut Co. Ltd., 3, Gukhoe-daero 66-gil, Yeongdeungpo-gu, Seoul, Korea – a Hyundai group company.

1.3. Hyundai Pay-ს ხელმისაწვდომობა

Hyundai Pay მხოლოდ შემდეგ ქვეყნებშია ხელმისაწვდომი: ალბანეთი, ავსტრია, ბელგია, ბოსნია, ბულგარეთი, სეუტა, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, ირლანდია, იტალია, კოსოვო, ლატვია, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდოვა, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ჩრდილოეთ მაკედონია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სან მარინო, სერბეთი, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, უკრაინა, გაერთიანებული სამეფო და ვატიკანი.
Hyundai უფლებას იტოვებს, შეამციროს ან გაზარდოს ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც Hyundai Pay ხელმისაწვდომი იქნება.

2. Hyundai Pay-ზე ბარათის დამატება

2.1. Hyundai Pay-ზე ბარათის დამატება

Hyundai Pay-ზე მხოლოდ გადახადის ბარათების დამატებაა შესაძლებელი. ამ ეტაპზე, Mastercard-ის, VISA-ს, და American Express-ის ბარათების გამოყენებაა შესაძლებელი.
უფლებას ვიტოვებთ, მომავლისთვის გადახდის მეთოდების ჩამონათვალი შევამციროთ, ან გავზარდოთ.
Hyundai Pay-ზე ბარათის დამატებით, ყველა იმ პირობას და პოლიტიკას ეთანხმებით, რომელიც თქვენი ბარათის გამცემი ბანკის მიერ („საბანკო პირობები“) არის მოწოდებული.
ბანკის ეს პირობები, თქვენ მიერ ბარათის Hyundai Pay-ს ფარგლებში გამოყენებაზე ისევე ვრცელდება, როგორც ნებისმიერ სხვა ტრანზაქციაზე, რომელსაც თქვენი (ფიზიკური) გადახდის ბარათით ასრულებთ.
მხარდაჭერილი გადახდის ბარათის დამატებით, თქვენ ადასტურებთ და გარანტიას იძლევით, რომ აღნიშნული გადახდის ბარათის გამოყენების უფლება გაქვთ და ჩვენ და ჩვენს გადახდის სერვისის პროვაიდერს უფლებას გვაძლევთ, გადახდის ბარათიდან თქვენს შენაძენზე მთლიანი თანხა მოვხსნათ.

2.2. გადახდის ბარათის ტოკენიზაცია

Hyundai Pay-ზე თქვენი გადახდის ბარათის დასამატებლად, თქვენი გადახდის ბარათის ტოკენი Visa Token ID სერვისის გამოყენებით გენერირდება.
Visa Token ID-ს სერვისის მომწოდებელია, სერვისის ჩვენი მომწოდებელი Bell Identification B.V., Stationsplein 45, A.06.16, 3013AK Rotterdam, The Netherlands ("Bell ID"). Hyundai-ს სერვერებზე მხოლოდ Bell ID-ს მიერ მოწოდებული ტოკენები გამოიყენება.
ტოკენის გენერირებისთვის, Bell ID თქვენი გადახდის ბარათის შესახებ, ინფორმაციას აგროვებს (კერძოდ, თქვენს სახელს, ბარათის ნომერს, მოქმედების ვადას, უსაფრთხოების კოდს).
ინფორმაციიის შეგროვება ექსკლუზიურად Bell ID-ს მიერ, მათ სისტემაში, იმ უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად ხდება, რომელიც გადახდის ბარათიინდუსტრიაში არის მიღებული.

3. გადახდის დამუშავება და ინვოისის წარდგენა

3.1. გადახდის დამუშავების სერვისის მიმწოდებელი

თუ თქვენ Hyundai Pay-ში შენახული გადახდის ბარათით ყიდულობთ, გადახდის შემდგომ დამუშავებას და ინვოისის გენერირებას, ჩვენი პარტნიორი, Stripe Payment Europe Ltd, One Building, 1 Grand Canal Street Lower, Dublin 2, Ireland ("Stripe") ახორციელებს.

3.2. გადახდის დამუშავება

გადახდის დამუშავებისას, Hyundai ყველა საჭირო მონაცემს Stripe-ს აწვდის, რათა გადახდის ავტორიზაცია შესრულდეს.
უპირველესად, ეს მოიცავს გადახდის თანხას, ვალუტის კოდს, დაჯავშნის ტექსტის აღწერას, თქვენი გადახდის ბარათის ტოკენს და სავაჭრო იდენტიფიკატორს Hyundai-ის ავტორიზაციისთვის, რომელიც Stripe-ს მიერ არის მიწოდებული.
გადახდის ფაქტობრივი დამუშავება, ანუ თქვენი გადახდის ბარათიდან თანხის ჩამოწერა, Stripe-ის და მისი პარტნიორების მიერ და პასუხისმგებლობით ხორციელდება.
Hyundai-ს და გადახდაში მონაწილე სხვა მხარეებს უფლებას აძლევთ, შესაბამისი შესყიდვისას, გადახდის ბარათიდან, რომელიც Hyundai Pay-ზე გაქვთ რეგისტრირებული, განსაზღვრული თანხა ჩამოგაჭრან.
თქვენ აცნობიერებთ და ეთანხმებით, რომ გადახდა რომელიც Bluelink-ზე ხორციელდება, მხოლოდ თქვენსა და Hyundai-ს შორის ხდება.
გადახდები იმ შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება, რომელიც თქვენი გადახდის ბარათის გამცემ ბანკთან გაქვთ.

3.3. კლიენტის ძლიერი ავთენტიფიკაცია

თქვენ მიერ გამოყენებული გადახდის ბარათის ტიპის შესაბამისად, შეკვეთის გაფორმებისას, შეიძლება გადახდის მეთოდის 3-D Secure-ის, ან გადახდის დაცვის სხვა მეთოდით დადასტურება გთხოვონ.
თუ 3-D Secure ავთენტიფიკაციის პროცესის გააქტიურებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით შეკითხვები გაქვთ, დამატებითი ინფორმაციისთვის, თქვენს ბანკს დაუკავშირდით.

3.4. ინვოისის შედგენა

დეტალური ინვოისის შესადგენად, Hyundai Stripe-ს ასევეთქვენს მიერ მიწოდებულ ანგარიშის წარდგენის მისამართს, ასევე ინვოისთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა მონაცემს მიაწვდის, რომლებიც ცალკეული შემთხვევებისთვის გაქვთ მიწოდებული.

4. HYUNDAI PAY-ის ხარჯები

როგორც მომხამარებლისთვის, Hyundai Pay თქვენთვის უფასოა.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენი გადახდის ბარათის გამცემმა ბანკმა თქვენი გადახდის ბარათის მოწოდების და გამოყენებისთვის, შეიძლება საკომისიო ჩამოგაჭრათ.
ისინი დაფუძნებულია გამოყენების შესახებ შეთანხმებაზე, რომელიც თქვენი გადახდის ბარათის გამცემ ბანკთან გაქვთ.

5. ხარჯები გადახდის ბარათით შესრულებული გადახდების დაბრუნებისას

Hyundai-sgan Bluelink Store-ში შეძენილი პროდუქტებისა და სერვისების დაბრუნება და თანხის ანზღაურება, Bluelink Store-ის გამოყენების პირობებით რეგულირდება.
თუ გსურთ, შესყიდვებზე უარი თქვათ, ან თანხის დაბრუნება მოითხოვოთ, Bluelink Store-ში მოწოდებული ვარიანტები გამოიყენოთ, ან Bluelink-ის მხარდაჭერის სამსახურს დაუკავშირდით.
თუ თქვენი გადახდის ბარათის გამცემი ბანკის სასარგებლოდ, თქვენი გადახდის ბარათიდან თანხის ჩამოჭრის წინააღმდეგი ხართ, გადახდის თანხა, თქვენი გადახდის ბარათის გამცემი ბანკის პირობების შესაბამისად გაუქმდება.
თუ თქვენ გააუქმეთ ჯავშანი, რომელიც Hyundai-ს დასაბუთებულ პრეტენზიასთან არის დაკავშირებული, ჩვენ უფლებას ვიტოვებთ, Hyundai-ს მიერ ამის შედეგად გაწეული ნებისმიერი ხარჯი ჩამოგაჭრათ.

6. თქვენი, როგორც მომხმარებლის ვალდებულებები

6.1. თქვენ უფლება არ გაქვთ, Hyundai Pay ნებისმიერი თაღლითური, უკანონო, ან შეურაცხმყოფელი მიზნებისთვის, ან რაიმე ფორმით გამოიყენოთ, რომელიც გამოყენების ამ წესებში, ან ჩვენ მიერ თქვენთვის მოწოდებულ სხვა მასალებში აღწერილი არ არის, ან რომელიც თქვენთვის, ან ჩვენი სხვა მომხმარებლებისთვის, Hyundai Pay-ს მიწოდებას ეწინააღმდეგება.

6.2. თქვენ თანხმდებით, რომ ბოროტად არ გამოიყენებთ, არადანიშნულებისამებრ არ გამოიყენებთ და არ მოიმოქმედებთ, ან არ მოიმოქმედებთ რამეს, რაც ჩვენს ბიზნეს ოპერაციებს, სერვისებს, რეპუტაციას, თანამშრომლებს, ან ობიექტებს ზიანს მიაყენებს.
თქვენს მიერ არასწორად გამოყენების, ბოროტად გამოყენების, ან საზიანო ქმედების, ან უმოქმედობის შემთხვევაში, თქვენ თანახმა ხართ, აგვინაზღაუროთ, დაგვიცვათ და მოგვარიდოთ ყველა ხარჯი და საფასური (მათ შორის ადვოკატის ჰონორარი), დანაკარგები, ზიანი და სხვა ვალდებულებები, რომლებსაც მესამე მხარე წარმოგვიდგენს და რომლებიც სრულად ან ნაწილობრივ, ასეთი გამოყენებით, ან ბოროტად გამოყენებით, ასევე თქვენი მოქმედებით, ან უმოქმედობით არის გამოწვეული.

6.3. მესამე მხარის მიერ გადახდის ფუნქცია არ გამოიყენება
თქვენი გადახდის ბარათის დეტალები, გადახდის ბარათის უსაფრთხოების კოდი, ან Hyundai Pay-ზე წვდომის რეკვიზიტები არ უნდა გაამჟღავნოთ.
თქვენ პასუხისმგებელნი ხართ, თქვენი Hyundai-ს ანგარიში, Hyundai Pay-ს და გადახდის ბარათის/საბანკო ანგარიშის დეტალები, მესამე მხარის მიერ თქვენი ქმედებებით გამოწვეული არაავტორიზებული წვდომისგან იმგვარად დაიცვათ, რომ ვერავინ შეძლოს თქვენი დეტალების ნახვა, როდესაც გადახდის ფუნქციას იყენებთ, ან Hyundai Pay-ში გადახდის ბარათს ამატებთ.
Hyundai პასუხისმგებელი არ არის მესამე მხარის მიერ მიყენებულ ზარალზე, რომლებმაც წვდომისთვის საჭირო თქვენი რეკვიზიტები, ან გადახდის ბარათის მონაცემები მიიღეს და შესაძლოა გამოიყენეს.
თუ თვლით ან იცით, რომ ვინმემ შეიძლება თქვენი გადახდის ბარათი გამოიყენა, ან მის გამოყენებას ეცადა, თქვენი გადახდის ბარათის მიმწოდებელს დაუკავშირდით.
ასევე აცნობეთ თქვენი გადახდის ბარათის მიმწოდებელს, თუ შეცდომებს ან არაავტორიზებულ გადახდებს შეამჩნევთ, რომლებიც გადახდის ფუნქციასთან არის დაკავშირებული.

7. ცვლილებები ამ პირობებში
Hyundai გამოყენების ამ წესებში ცვლილებებს, შემოთავაზებული გამოყენების ახალი პირობების ძალაში შესვლამდე, არაუგვიანეს ორი თვით ადრე, Hyundai Pay-ში ახალი პირობების ჩვენებით შემოგთავაზებთ.
თუ გამოყენების შემოთავაზებულ, შესწორებულ პირობებს არ ეთანხმებით, ჩვენ Hyundai Pay-ით სარგებლობის შეთანხმების გაწყვეტის უფლებას ვიტოვებთ.
თუ გამოყენების შემოთავაზებულ, შესწორებულ პირობებს არ ეთანხმებით, გთხოვთ, შეთანხმების შეწყვეტის წესებს გაეცნოთ 8.0 ნაწილში, „მოქმედების ვადა და შეწყვეტა“.

8. მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. შეთანხმების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა
შეთანხმება ძალაში Hyundai Pay-ზე ბარათის დამატებისთანავე შედის და ავტომატურად მთავრდება, როდესაც Bluelink-თან შეთანხმება მთავრდება, თუ შეთანხმება მანამდე შეწყდა, წინა სექციებში მოხსენიებული პირობები მოქმედებს.

8.2. შეწყვეტა
Hyundai Pay-ით სარგებლობის ეს შეთანხმება შეიძლება შეწყდეს თქვენ მიერ, ნებისმიერ დროს და დაუყოვნებლივ, ხოლო Hyundai-ს მიერ, ნებისმიერ დროს, ერთი თვით ადრე გაფრთხილებით, იმ პირობით, რომ Bluelink-თან ან In-Car Payment სერვისებთან, გადახდის რაიმე დაუფარავი ვალდებულება არ გაკავშირებთ.
Hyundai-ს შეუძლია, ასევე შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება, თუ გამოყენების ამ წესებში შესწორებას არ დაეთანხმებით, იხილეთ ნაწილი 7.
შეთანხმების შეწყვეტის შესახებ კანონიერი უფლებები და მათ შორის, საპატიო მიზეზით შეწყვეტა, უცვლელი რჩება.
Hyundai-ის მიერ, შეთანხმების შეწყვეტის საპატიო მიზეზი არსებობს, თუ თქვენ მომხმარებლის ვალდებულებებს არღვევთ, როგორც მე-6 ნაწილშია ასახული.

9. HYUNDAI PAY-ში გადახდის ბარათების გამოყენების შესაძლებლობის შეჩერება

9.1. HYUNDAI PAY-ში გადახდის ბარათების გამოყენების შესაძლებლობის შეჩერება
ჩვენ შეიძლება დროებით ან სამუდამოდ შევაჩეროთ Hyundai Pay-ში შენახული საგადახდო ბარათის Bluelink Store-ში გადახდისთვის გამოყენების შესაძლებლობა, თუ გადახდის ბარათი, მისი გამცემი ბანკის მიერ არის დაბლოკილი, თუ თქვენ გამოყენების ამ წესებს დაარღვევთ, მოგვაწვდით ცრუ, არასრულ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას, ან სხვა თაღლითურ ან უკანონო ქმედებას ჩაიდენთ, ან თუ ჩვენთვის ცნობილი გახდება, საეჭვო საქმიანობის შესახებ, რომელიც თაღლითობაზე, ან უკანონო საქმიანობაზე მიგვანიშნებს.

9.2. Hyundai Pay-დან გამოუყენებელი ბარათების წაშლა.

თუ გადახდის ბარათს, რომელიც Hyundai Pay-ში, ოცდაოთხი თვის ან მეტი ხნის განმავლობაში გადახდების შესასრულებლად დაამატეთ, არ იყენებთ, ჩვენ Hyundai Pay-დან შესაბამისი გადახდის ბარათის ამოღების უფლებას ვიტოვებთ.

თუ თქვენი გადახდის ბარათი რაღაც მიზეზის გამო გაუქმდა, თქვენ: (i) შეთანხმების პირობების დაცვა უნდა გააგრძელოთ; (ii) ვალდებული ხართ ყველა ტრანზაქციაზე, რომლებიც გადახდის შესაბამისი ბარათით განხორციელდა; და (iii) გადახდის შესაბამისი ბარათი Hyundai Pay-დან დაუყოვნებლივ უნდა წაშალოთ.

10. პასუხისმგებლობა

ჰიუნდაის პასუხისმგებლობა ზიანისათვის, სამართლებრივი საფუძვლებისგან დამოუკიდებლად (კერძოდ დაგვიანების, დეფექტების, ან ვალდებულებათა სხვა დარღვევის შემთხვევაში), ამ კმონტრაქტისთვის დამახასიათებელი მოსალოდნელი ზიანით შემოიფარგლება.

განზრახ გადაცდომის, ან უხეში დაუდევრობის, გარანტირებული მახასიათებლების, სიცოცხლის, სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებისთვის, ან პროდუქტის ხარისხზე პასუხისმგებლობის კანონის მიხედვით, ზემოაღნიშნული შეზღუდვა Hyundai-ის პასუხისმგებლობაზე არ ვრცელდება.

11. მომხმარებელთ მხარდაჭერა, მონაცემთა დაცვის მოთხოვნები, საჩივრები

11.1. შეკითხვების ან საჩივრების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ მისამართზე

Hyundai Connected Mobility GmbH
ელ.ფოსტა: Hyundai Connected Mobility GmbH
საფოსტო მისამართი: Kaiserleipromenade 5, 63067 Offenbach am Main, Germany
ტელ: +49 69271472377

11.2. მონაცემთა დაცვის მოთხოვნები

საკონტაქტო დეტალებისთვის მონაცემთა დაცვის მოთხოვნებისა და სერვისებთან დაკავშირებით შეგროვებულ და დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, ჩვენი Hyundai Pay-ის კონფიდენციალურობის შეტყობინება იხილეთ, რომლის ნახვაც Hyundai Pay-ში არის შესაძლებელი.

გარდა ამისა, თქვენ ასევე შეგიძლიათ, ჩვენს მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელ. ფოსტის მისამართზე HCM.dataprotection@hyundai-europe.com დაუკავშირდეთ, ან c/o მონაცემთა დაცვის ოფიცერს, ზემოთ მოცემულ მისამართზე ჩვეულებრივი ფოსტით, წერილობით მიმართოთ.

11.3. დავის ონლაინ გადაწყვეტა

ონლაინ დავების გადაწყვეტისთვის, ევროკომისია ვებსაიტს გთავაზობთ, რომელიც მომხმარებლებს და მოვაჭრეებს შორის დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტას ემსახურება და რომელიც ხელმისაწვდომია მისამართზე http://ec.europa.eu/consumers/odr/.

Hyundai არ მონაწილეობს და ვალდებული არ არის, მომხმარებლებისთვის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ორგანიზაციაში, დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ პროცედურებში მიიღოს მონაწილეობა.

12. სხვადასხვა

12.1. გამოყენების ეს პირობები არის მხარეთა სრული შეთანხმება Hyundai Pay-ის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით და ამ საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს შორის ყველა წინა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას ანაცვლებს.

12.2. გამოყენების ესპირობები ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ენაზეა ხელმისაწვდომი.

მას შემდეგ რაც გამოყენების პირობებს დაეთანხმებით, მათი ნახვა Hyundai Pay-ში და ონლაინ მისამართზე https://www.hyundai.com/eu/hyundai-pay-terms-of-use.html შეგიძლიათ

12.3. მომხმარებლის ცვალებადი, წინააღმდეგობრივი, ან დამატებითი წესები და პირობები, Hyundai Pay-ს გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში არეგულირებს, თუ ჩვენ მიერ წერილობით, მკაფიოდ არის მოწონებული.

12.4. გამოყენების ამ წესებში ნებისმიერი შესწორება და დამატება, ისევე როგორც შეტყობინებები, რომლებიც აუცილებელია მათი შესრულებისთვის, ძალაში შესასვლელად, ტექსტურ ფორმას საჭიროებს (მათ შორის ელფოსტით, ფაქსით ან myHyundai-ს აპში დადასტურებას).

ტექსტური ფორმის ამ მოთხოვნის გაუქმება, მხოლოდ ტექსტური ფორმით შეიძლება.

12.5. ჩვენ უფლება გვაქვს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, სერვისის სხვა პროვაიდერს, სრულად ან ნაწილობრივ გადავცეთ, რასაც ექვსი კვირით ადრე შეგატყობინებთ.

თუმცა, ამ შემთხვევაში, თქვენ უფლება გაქვთ, იმ შეტყობინების მიღებიდან, რომელიც ძალაშია ხელშეკრულების იმ კომპანიისთვის დაგეგმილი გადაცემის მომენტში, რომელსაც შეთანხმების ფარგლებში, Hyundai ეუფლება, ერთი თვის განმავლობაში ხელშეკრულება შეწყვიტოთ.

შეტყობინებაში, შეწყვეტის ამ უფლების შესახებ, პირდაპირ გაცნობებთ.

ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, ეს უფლება არ ზღუდავს თქვენს უფლებას, შეწყვიტოთ გამოყენების პირობები და შესაბამისად უფლებას, გამოიყენოთ Hyundai Pay, როგორც ეს მე-8 ნაწილში არის გათვალისწინებული.